აკაკი თოფურიას ქუჩაზე ფონზე

186
185

...ის სსრ ცსსა
287 ანაწერი Опись № 1 ... 185

...ის სსრ ცსსა
287 ... 1 ... 185

მუდმივად შესანახი
ПОСТОЯННОГО ХРАНЕНИЯ

დასკანირებულია 13
16.01.2025

13.



## თბილისის ღირ...

ვინ მოსთვლის რამდენი რამ ... აწონებს თავს შინაურ თუ სტუმარ ... ხელოვანი დედაქალაქი თბილისი. მ... მაზით იქცევს მნახველთა ყურადღ...

და რამდენი კიდევ შენდება, ... მაგრამ მარად ჭაბუკი თბილისი უფ... მანის ფუნჯით დახატულის მსგავსი ...

ამ სურათზე თქვენ ხედავთ თბი... მონუმენტური შენობის მშენებლო...

## კალათბურთე...

კალათბურთელ ვაჟთა ... კავშირო ჩემპიონატში უკვე გათ... მაშდა 6 ტური. ჯერჯერობით და... მარცხებლად მიდის ცსკა, რომე... საც 6 შესაძლებლობიდან მაქსიმ... მი — 6 ქულა აქვს (464:402). თ... თო დამარცხება აქვთ კაუნასის „... ლგირისს“, თბილისის „დინამო... და ...ვის სკას. 6-დან 2 ქულა აქ...

სამეცნიერო თემაზე

# რა არის და როგორ წარმოიშობა მარგალიტი?



**არგალიტი** იწოდება სადაფის უთხელესი ფენებისაგან აგებულ მომრგვალო ან იშვიათად, უწესო ფორმის ძვირფას თვალს, რომელსაც ახასიათებს ოპალესცენციის ანუ ცისარტყელასებრ ლამაზი ფერების გამოცემის უნარი, ფერების თამაში, ციმციმი. სწორედ ეს ანიჭებს მას მაღალ ღირსებას. ფიქრობენ, ფერების ამგვარი თამაში გამოწვეულია მარგალიტის შიგნით არსებული მრავალი დაწახნაგული სიცარიელით, რომელიც შლის სინათლის სხივს და გვაძლევს სპექტრს ანუ ფერად ზოლებს. მარგალიტს მეტწილად აქვს ვერცხლისებური ელვარება და თეთრი, მოვარდისფერო, მოყვითალო ან იშვიათად. შავი ფერი. იგი შედგება 91%-მდე ნახშირმჟავა კალციუმის, 4%-მდე ორგანული ნივთიერების, 4%-მდე წყლისა და დანარჩენი სხვა მასალისაგან, წარმოიშობა სადაფიანი ორსაგდულიანი მოლუსკის, ე. წ. მარგალიტოვანას ნიჟარის შიგნით და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ცხოველის მანტიაში, ანუ კანის ნაოჭში მოხვდება ქვიშის მარცვალი, პარაზიტი ტკიპა, ან რომელიმე სხვა უცხო სხეული. ცხოველს არ შეუძლია გარეთ გამოაგდოს ეს სხეული. იგი აღიზიანებს მანტიას, აწუხებს ცხოველს და იძულებულს ხდის მის გარშემო გამოყოს სადაფის თხელი ფენები (ვინაიდან მანტიის ზედაპირი გამოჰყოფს მხოლოდ სადაფის ფენას). ამიტომ მარგალიტის ფორმა დამოკიდებულია ამ უცხო სხეულის ფორმაზე. ყველაზე ძვირფასია წესიერი ფორმის მარგალიტი.

მარგალიტის მომცემი მოლუსკები ცხოვრობენ როგორც ზღვაში, ისე მტკნარ წყალში, მაგრამ უფრო მეტი რაოდენობისა და უკეთესი ხარისხის მარგალიტს გვაძლევს თბილი ზღვის მარგალიტოვანი, ვინაიდან თბილი წყალი ბევრად მდიდარია ნახშირმჟავა კალციუმით, ვიდრე ცივი.

**აქამდე** მტრედის კვერცხზე დიდი მარგალიტი ცნობილი არ იყო, მაგრამ 15 წლის წინათ ნიუ-იორკში სენსაცია მოხდა, ერთ-ერთი მაღაზიის ვიტრინაში გამოფენილი იყო ადამიანის თავის ოდენა მარგალიტი, რომლის სიგრძე უდრიდა 23 სანტიმეტრს, სიგანე — 14 სანტიმეტრს, წონა კი — 5 კილოგრამსა და 350 გრამს. გადმოცემის

ნიჟარა ძლივს ამოუთრევიათ ნაპირზე, გაუხსნიათ რკინის ხელკეტით და შიგ ეს მარგალიტი აღმოუჩენიათ. ამბობენ, რომ ამ ცხოველს მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს.

ტრიდაკნა დედამიწაზე ყველაზე დიდი ორსაგდულიანი მოლუსკია. მისი ნიჟარის სიგრძე ზოგჯერ 4 მეტრს უდრის, წონა კი ნახევარ ტონამდე აღწევს. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მის ნიჟარაში ასეთი დიდი მარგალიტი განვითარდეს. ცხადია ისიც, რომ ამ ნიჟარაში მოხვედრილი ცხოველი თავს ვეღარ დააღწევს. ამიტომ ხალხი ტრიდაკნას „სიკვდილის მახეს“ უწოდებს. მაგრამ მარგალიტის მომცემი ნიჟარების ...

ნიჟარა შეიცავს მარგალიტს. უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში

(ფოთი) „ახალი კოლხეთი", 1968, 20/XII №150

წერილები ქართული მეცნიერების მოღვაწეებზე

# პატრიოტი, მკვლევარი, მეცნიერი

პროფესორი აკაკი თოფურია და უნივერსიტეტი თითქმის თანატოლები არიან. 1961 წლის სექტემბრიდან იგი მიწვეულ იქნა უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის დოცენტად. ორი წლის თავზე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მალე პროფესორის თანამდებობა დაიკავა. ამჟამად ის უნივერსიტეტის ლიტერატურისმცოდნეობის სამეცნიერო საბჭოს წევრია და ერთ-ერთ თვალსაჩინო სპეციალისტად ითვლება. ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების მეოთხე-მეხუთე კურსებზე ის კითხულობს სპეციალურ კურსს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კურსს, ხელმძღვანელობს სპეცსემინარებს, საკურსო და სადიპლომო შრომებს, აგრეთვე ასპირანტების, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების მომზადებას.

უნივერსიტეტში მიწვევამდი პროფ. აკ. [illegible] ჰქონდა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის [illegible] გზა. სამამულო ომიდან დაბრუნებისთანავე ის მოექცა ჩვენი რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების ცენტრში და აქტიურად ჩაება ფართო საზოგადოებრივ საქმიანობაში. ვისაც 1946-1949 წლებში გაზეთ „სახალხო განათლების" ფურცლებისათვის მიუდევნებია თვალი, უეჭველად ახსოვთ აკაკი თოფურიას დიდად საინტერესო, დამაფიქრებელი წერილები, რომლებშიც სკოლის ღრმა ცოდნასთან ერთად მკაფიოდ იგრძნობოდა **სიახლის** განსაკუთრებული გრძნობა, თავისებური ნიჭი და უნარი. ეს ნიშნები თვალნათლივ ალბეჭდილია მის ყოველ ლექციასა, შრომასა და საჯარო გამოსვლებში.

1949-1952 წლებში ის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საცდელი ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკის სექტორში მუშაობდა მეცნიერ მუშაკად და ამავე სექტორის გამგედ, ხოლო 1952-1958 წლებში — ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგედ და დოცენტად. 1958 წლიდან უნივერსიტეტში გადასვლამდე ლექციას კითხულობდა პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ყველგან, სადაც კი დღემდე უმუშავნია აკაკი თოფურიას, მას დატოვებული აქვს წარუშლელი კვალი, როგორც მეგობარ-კოლეგებს შორის, ისე სტუდენტ ახალგაზრდობაში.

[illegible] სახელი გაუთქვა პროფესორ აკაკი თოფურიას 1957-1959 წლებში გამოცემულმა ორტომიანმა ფუნდამენტალურმა ნაშრომმა **„ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკამ,"** რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია ძირითად სახელმძღვანელოდ სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისათვის. წელს მესამედ მიიღებს მკითხველი ამ სახელმძღვანელოს ერთობლივ გამოცემას.

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში პირველი გამოჩენისთანავე მიიქციეს განსაკუთრებული ყურადღება ორიგინალობით და დასაბუთების შეუვალი ლოგიკით მისმა ისეთმა გამოკვლევებმა, როგორიცაა: **„ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი"** (ამ წერილში წამოყენებული დებულებები უკამათოდ გაიზიარა პავლე ინგოროყვამ. იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი 1, 1951, გვ. 42), **„სოციალისტური რეალიზმის სათავეების შესახებ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში"**, **„უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენების უფრო ღრმად შესწავლისათვის"**, **„თაობათა ბრძოლაში გრ. ორბელიანის ადგილის საკითხისათვის"** და სხვა, ხოლო ლეო ქიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედების, მისი სკოლაში სწავლების საკითხებზე აკ. თოფურიას მონოგრაფიულ ფილოლოგიურ-მეთოდიკურმა გამოკვლევამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

1949 წლიდან იგი ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა ქართულ საბჭოთა ლიტერატურულ კრიტიკაში. ამ დროიდან ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდება მისი სტატიები, წერილები ქართველი საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი პრაქტიკის ღრმა ანალიზის საფუძველზე გაშუქებულია მთელი რიგი საინტერესო ლიტერატურულ-ესთეტიკური პრობლემები. ამ მხრივ იქცევენ ყურადღებას მისი წიგნები: **„წერილები ლიტერატურულ საკითხებზე" (1960)**, **„კრიტიკული წერილები"** (1956), **„ლეო ქიაჩელი"** (1954), **„კომუნისტის სახე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში"** (1956) და სხვ. აკ. თოფურია 10 წიგნისა და 65 მეცნიერული შრომის ავტორია.

ნიჭიერი მკვლევარის, მეცნიერის, კრიტიკოსის, შესანიშნავი პედაგოგის, ადამიანისა და მოქალაქის საკმაოდ პოპულარული სახელი ჰქონდა აკ. თოფურიას, როცა ის სადოქტორო დისერტაციის დასაცავად უნივერსიტეტის 93-ე აუდიტორიის კათედრაზე შედგა 1963 წლის 11 დეკემბერს. მას უყოყმანოდ შეეძლო აქ წარედგინა თავისი ორიგინალურად შედგენილი სახელმძღვანელო, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად საჯარო დაცვაზე გამოიტანა სრულიად ახალი კვლევა-ძიებითი ნაშრომი ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორიისა და ქართული ლიტერატურის სწავლების საკითხებზე.

ამ შრომას გარდა ოფიციალური ოპონენტებისა (აკად. **გ. ჯიბლაძე, პროფ. ს. ჭილაია, პროფ. ს. სიგუა)** მაღალი შეფასება მისცეს რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრებმა პროფ. **ვ. გოლუბკოვმა** და პროფ. **ლ. ტიმოფეევმა.**

**„მისასალმებელია,** — წერდა პროფ. ვ. გოლუბკოვი მოსკოვიდან გამოგზავნილ თავის რეცენზიაში, — **რომ აკ. თოფურიამ, რომელიც ცნობილია ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში საქმიანი შრომებით, ახალ, განმაზოგადებელი ხასიათის გამოკვლევას მოჰკიდა ხელი და თავისი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურის სწავლების საქმეში".**

უაღრესად მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით რომ ეკიდება ყოველ საქმეს (სკკპ წევრია 1939 წლიდან), უაღრესად უმწიკვლო და უანგარო პირად ცხოვრებაში, ასევე უაღრესად პრინციპული და მომთხოვნია სხვების მიმართაც.

უნივერსიტეტის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას გამოეყო უახლესი (საბჭოთა) ლიტერატურის ისტორიის კათედრა. აკ. თოფურია გადმოყვანილ იქნა ამ კათედრაზე და მის პირველ სხდომაზე ერთხმად აირჩიეს კათედრის გამგის მოადგილედ (გამგეა პროფ. ს. ჭილაია). დაიწყო ახალი, მეტად საინტერესო ეტაპი მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში.

მაგრამ ამ ცხოვრებასა და მოღვაწეობას კიდევ უფრო ამშვენებს და ალამაზებს განუზომელი სიყვარული მშობლიური ქალაქ ფოთისადმი. იგი დიდი პატრიოტია თავისი ქალაქისა. 1964-1967 წლებში მალთაყვაში მის კოტეჯს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ბევრმა ფოთელმა იცის, როგორ ზრუნავს ის ამ საკურორტო მხარის კეთილმოწყობისა და ფოთის სამხრეთ ჭიშკრის გამშვენიერებისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ უკანასკნელი თვეების ძვირფასი დრო მან შეალია კომპოზიტორ შოთა ჯოჯუასთან თანამეგობრობით ფოთისათვის ისეთი სიმღერის შექმნას, რომლითაც იგი გაუტოლდებოდა ბათუმს, ქუთაისს, სოხუმს და სხვა ქალაქებს.

ეს სიმღერა მალე იქცევა ერთ-ერთ საყვარელ სიმღერად მთელ კოლხეთში, საქართველოში.

**ვახტანგ გოგუაძე,**
**ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, უნივერსიტეტის ესთეტიკის კათედრის წევრი.**
**ო. შურღაია,**
**რ. ჩხარტიშვილი.**